თამაშობს ახალგაზრდობა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 21 აპრილი.

“დინამო (თბილისი) – ცსკა 1:1 (0:1)

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, გ. სიჭინავა (ილიადი), დათუნაშვილი, ასათიანი, იამანიძე, მაისურაძე.

ცსკა: ბაუჟა, ისტომინი, ანტონევიჩი, ბაგრიჩი, კაპლიჩნი, მანოშინი, გრეშჩაკი, პოლიკარპოვი, ფედოტოვი, სეკეჩი, ვარგა.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ განვლილი მატჩი ახალგაზრდა ფეხბურთელთა ძალების თავისებურ დათვალიერებას წარმოადგენდა. ორივე გუნდში გამოდიოდნენ მოთამაშეები, რომელთა სახელები სულ ახლო წარსულში ბევრს არაფერს ეუბნებოდა ფეხბურთის მცოდნეებსაც კი. მოსკოველთა შორის ესენი იყვნენ ისტომინი, კაპლიჩნი, გრეშჩაკი, ვარგა, ხოლო ჩვენს გუნდში – ჭელიძე, ასათიანი, მაისურაძე.

ეტყობა, სწორედ ამ ახალგაზრდობაზე უნდა იქნას აღებული მთავარი კურსი. და არა მარტო იმიტომ, რომ დღეს მას უხდება ძირითად შემადგენლობაში გამოსვლა.

შეცდომები, და ისიც ნაწვიმარ, მძიმე მინდორზე. რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივი მოვლენაა ფეხბურთელთათვის, რომლებიც თავიანთ პირველ ნაბიჯებს დგამენ დიდ ფეხბურთში, მაგრამ მაინც ზედმეტი არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ მათ ნაკლოვანებებს და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ხვალინდელმა მოწინავე ძალამ დღეს გაუკეთოს ანალიზი თავის სუსტ მხარეებს და მათი გამოსწორებისთვის იზრუნოს. მაგალითად, ცხადზე უცხადესია, რომ ჭელიძეს მჭიდროდ უნდა აეყვანა ცსკა-ს მთავარი “დისპეტჩერი” ფედოტოვი, მაგრამ საამისოდ ხომ არ შეიძლება დაირღვეს ძირითადი პრინციპი იმ სისტემისა, რომლითაც თამაშობს თბილისის “დინამო”?! მოპირდაპირე ფორვარდის დევნა მთელ მინდორზე მაშინ, როცა ზონა ღიადაა დატოვებული და არაა დამზღვევი, აშკარა შეცდომაა. გარდა ამისა, მაისურაძე და ასათიანი ივიწყებენ, რომ ზედმეტი შეჯგუფება მეტოქის საჯარიმო მოედანზე მხოლოდ საზიანობა.

თბილისელებმა მთელი რიგი გამოუყენებელი მომენტების შემდეგ თვით მიიღეს გოლი: 22-ე წუთზე სეკეჩმა თავით გაიტანა პირველი ბურთი.

ანგარიშის გათანაბრება “დინამომ” მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო. პეტრიაშვილის მიერ მოწოდებული საჯარიმოს შემდეგ ცსკა-ს კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი, რომელიც გოლით დაამთავრა მაისურაძემ.

ზ. ჩიქვილაძე.

“ლელო”, 23 აპრილი. 1966 წ.